

წარმოება ღირებულების მატარებლით

წარმოება ღირებულების მატარებლის გამოყენებით გულისხმობს ერთჯერადად დახარჯული რესურსის გადანაწილებას პროდუქციაზე გარკვეული პროპორციით წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტების მიხედვით. განვიხილოთ ერთი მაგალითი. დიზაინში დაამატეთ კიდევ ორი პროდუქცია შესაბამისი მასალით.

პროდუქცია2:

წარმოების დიზაინი				
კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კომენტარი
10	მზა პროდუქცია1	1.0000	ცალი	
18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	
19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	

კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	რაოდენობა /ხარჯი	ერთეულ	ღირებულების წ
14	მასალა1	0.5000	კგ	
15	მასალა2	0.5000	კგ	
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი		ლარი	


პროდუქცია3:

წარმოების დიზაინი				
კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კომენტარი
10	მზა პროდუქცია1	1.0000	ცალი	
18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	
19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	


კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	რაოდენობა /ხარჯი	ერთეულ	ღირებულების წ
14	მასალა1	1.0000	კგ	
15	მასალა2	1.0000	კგ	
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი		ლარი	


„მასალა 1“ და „მასალა2 “ პირდაპირი დანახარჯებია თითოეული პროდუქტისთვის, ხოლო „მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი“ არა პირდაპირი დანახარჯი



რომელიც შეგიძლიათ გადაანაწილოთ გარკვეული პროპორციით თითოეულ პროდუქციაზე. ამისათვის სისტემაში არსებობს ღირებულების მატარებელი. სისტემაში უნდა შეიტანოთ ღირებულების მატარებელი. **ნარმოება/ ღირებულების მატარებელი.**




ეკრანის ზედა ნაწილში უნდა შეიტანოთ ღირებულების მატარებელი: მასალა, ზედნადები ხარჯი ან ხელფასი , ხოლო ეკრანის ქვედა ნაწილში ის პროდუქცია, რომელზეც უნდა გადაანაწილდეს ხარჯი. დაამატეთ ჩანაწერი ზედა ცხრილში . ეკრანში






გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან ზედა ეკრანის მონაცემთა არეში დააწკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.





ღირებულების მატარებლის ასარჩევად დადექით ველზე „კოდი“.დააჭირეთ ღილაკს  კორექტირება , შემდეგ ღილაკს  (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით საგნების სიაზე.აირჩიეთ საჭირო ჩანაწერი ამ შემთხვევაში „მზა პროდუქციის ნარმოების ხელფასი“.

ველში „აღწერა “ ავტომატურად ჩაიწერება „ღირებულების მატარებელი N1“ შეგიძლიათ შეცვალოთ ღირებულების მატარებლის დასახელება.

ქვედა ცხრილში გაუწერეთ ამ ღირებულების მატარებელს ის პროდუქცია რაზეც უნდა გადაანაწილდეს .ქვედა ეკრანში დაამატეთ ჩანაწერი , გამოიყენეთ ღილაკების სისტემიდან ღილაკი  ან კლავიატურაზე Insert ან ქვედა ეკრანის მონაცემთა არეში დააწკაპეთ მაუსის მარჯვენა ღილაკს და კონტექსტური მენიუდან აირჩიეთ ჩანაწერის დამატება.

	ჩანაწერის დამატება	Ins
	კორექტირება	F2
	ჩანაწერის წაშლა	Del
	კოპირება (Ctrl+Shift+C)	Ctrl+C
	ჩასმა	Ctrl+V

პროდუქციის ასარჩევად დადებით ველზე „კოდი“ ან „პროდუქციის დასახელება“ დააჭირეთ ღილაკს  კორექტირება, შემდეგ ღილაკს  (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით საგნების სიაზე, აირჩიეთ საჭირო პროდუქცია, ამ შემთხვევაში „პროდუქცია2“. ველში „თვითღირებულების გაანგარიშების კოეფიციენტი“ მიუთითეთ „2“. დამატეთ მეორე ჩანაწერი და ამ შემთხვევაში აირჩიეთ „პროდუქცია3“, ველში „თვითღირებულების გაანგარიშების კოეფიციენტი“ მიუთითეთ „4“.

კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	აღწერა
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი	ღირებულების მატარებელი N1

კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	თვითღირებულე გაანგარიშების კოეფიციენტი
18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	2.00
19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	4.00

შემდეგი ეტაპი, რომლიც არ უნდა გამოგრჩეთ არის ამ ღირებულების მატარებლის დაკავშირება მზა პროდუქციასთან. შეგიძლიათ პირდაპირ შესრულების დროს აირჩიოთ მაგრამ რადგან არსებობს პროდუქციის დიზაინი სასურველია მიუთითოთ დიზაინის ეკრანში. **წარმოება/დიზაინი**. ეკრანის ბედა ნაწილში მოძებნეთ და დადებით პროდუქციაზე, რომელსაც უნდა მიუთითოთ ღირებულების მატარებელი, შემდეგ ქვედა ეკრანზე მოძებნეთ ის მასალა,ზედნადები ხარჯი ან ხელფასი, რომლის ღირებულებაც უნდა გადაანაწილოთ სხვადასხვა პროდუქციაზე და მის გასწვრივ ველში „ღირებულების მატარებელი“ მიუთითეთ ღირებულების მატარებლის დასახელება. ყველა იმ პროდუქციაზე, რომელზეც უნდა გადაანაწილოთ ეს მასალა,ზედნადები ხარჯი ან ხელფასი, უნდა გააკეთოთ იგივე.

კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კომენტარი
10	მზა პროდუქცია1	1.0000	ცალი	
18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	
19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	

კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	რაოდენობა /ხარჯი	ერთეულ	ღირებულების მატარებელი
14	მასალა1	0.5000	კგ	
15	მასალა2	0.5000	კგ	
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი		ლარი	ღირებულების მატარებელი N1

გადადით უშუალოდ შესრულებაზე. **წამოება /შესრულება** .დაამატეთ ახალი ჩანაწერი , მონიშნეთ „დავამატოთ წარმოების დიზაინიდან“ დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.იხილავთ წარმოების დიზაინის ეკრან სადაც შეგიძლიათ მონიშნოთ ყველა ის პროდუქცია რის წარმოებასაც აპირებთ და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.მიუთითეთ ახალი შესრულების დოკუმენტის ნომერი .

გადაღებული	დოკუმენტის დასტური	თარიღი	შესრულებული რაოდენობის დოკუმენტის ნომერი	კოდი	პროდუქციის დასახელება	წარმოებული რაოდენობა	ერთეულ	ღირებულების დასახელება
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	18.11.2021 22:22:52	2	10	მზა პროდუქცია1		ცალი	საწყობი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	18.11.2021 23:42:37	2	10	მზა პროდუქცია1		ცალი	საწყობი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	19.11.2021 00:30:32	2	10	მზა პროდუქცია1	1.0000	ცალი	საწყობი
<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	22.11.2021 01:25:55	3	18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	საწყობი
<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	22.11.2021 01:25:56	3	19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	საწყობი

კოდი	მასალა /ზედნადები ხარჯები /ხელფასი	გამოყენებული რაოდენობა /ხარჯი	ერთეულ	რაოდენობა /ხარჯი ერთეული	ღირებულების ცენტრის დასახელება	მასალის მშობელ ანგარიშ	ღირებულების მატარებელი
14	მასალა1	1.0000	კგ	1.0000	საწყობი	1620	
15	მასალა2	1.0000	კგ	1.0000	საწყობი	1620	
16	მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი		ლარი		საწყობი	7410	ღირებულების მატარებელი N1

მიუთითეთ ჯამურად გადახდილი ხელფასის თანხა ორივე პროდუქციის საწარმოებლად .ამ შემთხვევაში „მზა პროდუქციის წარმოების ხელფასი,, გასწვრივ ველში „გამოყენებული რაოდენობა /ხარჯი“ მიუთითეთ “10“. მონიშნეთ ორივე პროდუქცია და გაუშვით მზა პროდუქციის შესრულება . დააჭირეთ ღილაკს წარმოების შესრულება. გამოსულ ეკრანზე მონიშნეთ მოსანიშნი „ვაჩვენოთ ხარჯების გადანაწილების დამხმარე ცხრილები“ გაზარდეთ ეკრანი და დააჭირეთ ღილაკს „OK“.

მასალის კოდი	მასალის დასახელება	პროდ კოდი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კოეფიციენტი	რაოდენობა სააღრიზგო ერთეულში	სააღრიზგო ერთეული	კოეფიციენტი სააღრიზგო ერთეულში	თვითღირებ	აღწერა
16	მზა პროდუქციის ...	18	პროდუქცია2	1.0000	ცალი	2.0000	1.0000	ცალი	2.0000	3.3333	ღირებულების მატარებელი N1
16	მზა პროდუქციის ...	19	პროდუქცია3	1.0000	ცალი	4.0000	1.0000	ცალი	4.0000	6.6667	ღირებულების მატარებელი N1
										10.0000	


კოდი	დასახელება	მთლიანი თვითღირებულება	მთლიანი კოეფიციენტი
16	მზა პროდუქციის წა...	10.0000	6.0000
		10.0000	


კოდი	დასახელება	მთლიანი რაოდენობა სააღრიზგო ერთეულში	პირდაპირი თვითღირებულება	თვითღირებულება დირექტულების მატარებელთ	მთლიანი თვითღირებულება	ერთეულის თვითღირებულება
18	პროდუქცია2	1.0000	0.8475	3.3333	4.1808	4.1808
19	პროდუქცია3	1.0000	1.6950	6.6667	8.3617	8.3617
			2.5425	10.0000	12.5425	


პირველი ცხრილი ეს არის „ღირებულების მატარებელი“ ,სადაც მოცემულია ღირებულების მატარებლები,მათი სიდიდეები(კოეფიციენტები) და პროდუქცია. თითოეული პროდუქციისათვის რა თანხები იქნა დაფორმირებული.


მეორე ცხრილში „სიდიდეები ღირებულების მატარებლების მიხედვით“ მოცემულია ჯამური ღირებულება და კოეფიციენტი.

მესამე ცხრილში „პროდუქციის ღირებულება“ მოცემულია პროდუქცია, მთლიანი რაოდენობა, პირდაპირი თვითღირებულება ღირებულების მატარებლის თვითღირებულება და ერთეულის თვითღირებულება , პირველად თვითღირებულებას + ღირებულების მატარებლის თვითღირებულება .დააჭირეთ ღილაკს „OK“.

თუ გსურთ იხილოთ თუ რა საბუღალტრო ოპერაციები მოყვა წარმოების შესრულებას , დადექით წარმოებულ პროდუქციაზე და დააჭირეთ ღილაკს  ჩაბურღვა (დეტალიზაცია).

 პროდუქციის ნაშთები

 გატარებები შესრულების ორდერის მიხედვით

 გატარებები შესრულების მიხედვით

მონიშნეთ „გატარებები შესრულების ორდერის მიხედვით “ იხილავთ გატარებების ეკრანს:

პერიოდი [01.01.2021 - 23.11.2021]

	დოკუმენტი	ოპერაციის ტიპი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა	ლირებულ ცენტრი	დებიტის რაოდენობა	კრედიტის რაოდენობა	ერთეული
▶ 1	3	ფა...	22.11.2021 01:25:55	1630	დაუმთავრებე...	0.85		GEL	საწყობი			
2	3	ფა...	22.11.2021 01:25:55	1620 14	14 მასალა1		0.42	GEL	საწყობი		0.5000	კვ
3	3	ფა...	22.11.2021 01:25:55	1620 15	15 მასალა2		0.42	GEL	საწყობი		0.5000	კვ
4	3	ფა...	22.11.2021 01:25:55	1630	დაუმთავრებე...		4.18	GEL	საწყობი			
5	3	ფა...	22.11.2021 01:25:55	1640 18	18 პროდუქცია2	4.18		GEL	საწყობი	1.0000		ცალი
6	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	1630	დაუმთავრებე...	11.70		GEL	საწყობი			
7	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	1620 14	14 მასალა1		0.85	GEL	საწყობი		1.0000	კვ
8	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	7410	შრომის ანაზღა...		10.00	GEL	საწყობი			
9	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	1620 15	15 მასალა2		0.85	GEL	საწყობი		1.0000	კვ
10	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	1630	დაუმთავრებე...		8.36	GEL	საწყობი			
11	3	ფა...	22.11.2021 01:25:56	1640 19	19 პროდუქცია3	8.36		GEL	საწყობი	1.0000		ცალი
						25.09	25.09			2.0000	3.0000	

ავირჩიოთ დაგზავროთ

დახურეთ ეკრანი.